community

The New Apostolic Church around the world

03/2018/GE

სამხარეო მოციქული ბერნდ კობერშტაინი პენსიაში

რედაქციისგან: შთგონებულნი იესო ქრისტეთი

ღვთისმსახურება: იესოსთან ერთად წყალზე გავიაროთ

ეკლესიის მოძღვრება: რჩეულნი წყალობით - რატომ?

New Apostolic Church
International

შთაგონებულნი იესო ქრისტეთი

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო, ერთმორწმუნე და-ძმანო,

სახარებაში ხსნის ღვთიური საქმეები იესოს დაბადებაში, მის გოლგოთაზე სიკვდილში, მის აღდგომასა და მეორედ მოსვლაშია შეჯამებული. იესო ქრისტეს რწმენა და წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადება ღმერთთან მუდმივი თანაზიარებისკენ მიმავალი გზაა. ეს არის სახარება, ეს არის სასიკეთო ამბავი.

მოდით, სახარება ჩვენს შვილებსა და მოყვასს გადავცეთ. დიახ, ჩვენ, ქრისტიანები, მოვლენილნი და რჩეულნი ვართ ამ ცეცხლის გასავრცელებლად. მაგრამ ეს მაშინ მოხდება, თუ იესო ქრისტესთვის დანთებული ცეცხლი ჩვენშიც იგიზგიზებს. ის ჩვენი გულიდან სხვა გულებზე უნდა გადავიდეს, თუ არა და არ იმოქმედებს. - კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ეს?

მოდით, ჩვენ თვითონ უფრო მეტად ვიმუშაოთ სახარებაზე. ასე ღვთის სიყვარული ჩვენს მიმართ, ადამიანების მიმართ, უფრო გასაგები და დიდებული იქნება.

ველაპარაკოთ ჩვენს შვილებსა და მოყვასს სახარებაზე. მაშინ ისინი გაიგებენ ღმერთის შესახებ, ჩვენი გამოცდილებებისა და დიდებული მომავლის შესახებ.

მოდით, ჩვენს შვილებსა და მოყვასთან ერთად ვილოცოთ. ლოცვის დროს ღმერთის სუფევას შევიგრძნობთ. ღმერთი ისმენს და პასუხობს.

ხანდახან ეს ყოველივე ცოტა დროს, საკუთარი თავის დაძლევასა და ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ, გთხოვთ, რომ ამ ცეცხლის გავრცელებაში დაგვეხმაროთ.

ღმერთის სიყვარული ყველა ადამიანისადმი აღფრთოვანებას იწვევს! მოდით, ჩვენი შვილები და მოყვასიც აღვაფრთოვანოთ ღვთიური სიყვარულით!

გულითდი მოკითხვა და ღვთიური კურთხევა იესო ქრისტეს გამო ღვაწლისათვის თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

იესოსთან ერთად წყალზე გავიაროთ

„ახალგაზრდების კონვენციასთან“ დაკავშირებით სამხ. მოციქულმა ჯონ კრილმა 2018 წლის 16-დან 18 თებერვლამდე მისი სამოღვაწეო მხარის ყველა ახალგაზრდა - 14-დან 35 წლამდე - კეიპტაუნში მიიწვია.

ფოტო: საბრძოლო აფრიკის ახსე

მათ. 14, 29

„უთხრა: ‘მოდი!’ პეტრე გადმოვიდა ნავიდან და წყალდაწყალ წავიდა, რათა იესოსთან მისულიყო.“

საყვარელო და-ძმანო, ვიდგე აქ და ამ დიდ და საოცარ წრეში ღვთისმსახურება ჩავატარო, განსაკუთრებული მოვლენაა ჩემთვის. კარგად მესმის, რომ ვერ მხედავთ. ეკრანებზეც კი, თუ საკმაოდ შორს ხართ აქედან, მხოლოდ შავ წერტილს ხედავთ და ვერ მცნობთ. უბრალოდ ძალიან შორს ვართ ერთმანეთისგან. მშვენიერი მაგალითია; იგი გვიჩვენებს, თუ რას ვგრძნობ დღეს დილით. როცა გიყურებთ, როცა ჩვენს შორის ღმერთის სუფევაზე ვფიქრობ, ძალიან პატარად ვგრძნობ თავს და კარგად მესმის, რომ ღვთის ხელში მხოლოდ ერთი მომცრო ინსტრუმენტი ვარ. და მინდა კიდეც ასეთად დავრჩე. მაგრამ ჩვენი სურვილია და დარწმუნებულნიც ვართ იმაში, რომ იესო ქრისტე ჩვენს შორის არის. ამის განცდა ყველას შეუძლია: იესო შორს არ არის ჩემგან, ის უშუალოდ ჩემს გვერდით არის. და დღეს, ვიყოთ თუნდაც მრავალი ათასი აქ, იესო ჩვენთან არის და ახლოა.

იცით, რომ, როცა იესო იერიხონში მივიდა, დიდძალი ხალხი ელოდებოდა მას. იქ იმყოფებოდა კაცი სახელად ზაქე. მას უფლის დანახვა სურდა, მაგრამ ჩია ტანის კაცი იყო. ხალხს არ უყვარდა ის. არც მაინცდამაინც პატიოსანი ადამიანი იყო. ყურადღებას არავინ აქცევდა. მაგრამ როცა იესო ქალაქში შემოვიდა, დაინახა იგი. უფალმა იცოდა, რომ ვერ იტანდნენ ზაქეს, მაგრამ მასთან სახლში მაინც მივიდა.

38 წლის განმავლობაში ერთი კაცი ბეთეზდას აუზთან იწვა და იცდიდა. არავინ ზრუნავდა მასზე. ყველა იგნორირებას უკეთებდა. მაგრამ იესომ სწორედ ეს მივიწყებული კაცი დაინახა და განკურნა.

ერთ დღეს, როცა ის თვალყურს ადევნებდა ხალხს, თუ როგორ სწირვადნენ მსხვერპლს ტაძარში, ერთი ღარიბი ქვრივი დაინახა, რომელმაც ორი ლეპტა შესწირა. იქ მყოფი ადამიანებისათვის ეს არაფერს წარმოადგენდა, უმნიშვნელო რამ იყო. მაგრამ იესომ დაინახა ის და უთხრა ხალხს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქვრივის მიერ შეწირული ლეპტა.

საყვარელო და-ძმანო, ზოგიერთი თქვენგანი შეიძლება ასეთ რამეს გრძნობდეს: „მე ნამდვილად არ ვარ ამ ერთობის ნაწილი. უარყოფილად, დაუფასებლად ვგრძნობ თავს.“ იესო გხედავს. მას შენთან მოსვლა და შენი კურთხევა სურს. ზოგიერთებმა კი ასე შეიძლება იფიქრონ: „არავინ ფიქრობს ჩემზე. ვერც კი მამჩნევენ. დახმარება ვითხოვე, მაგრამ შედეგი არ არის.“ მე კი გეტყვით, რომ თქვენ არ ხართ დავიწყებულნი. იესო მოვა და დაგეხმარება.

საყვარელო ახალგაზრდებო, საყვარელო და-ძმანო, შეიძლება ასეთი გრძნობა გაგიჩნდეთ: „ჩემი წვლილი ღვთის საქმეში უმნიშვნელოა. ღმერთი ვერც კი შეამჩნევს მას. არავინ მეტყვის მადლობას. ჩემს მიერ გაკეთებულ საქმეს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.“

იესო ხედავს ნებისმიერ გაწეულ სამსახურს და ნებისმიერ მსხვერპლს. სულიწმიდის მეშვეობით ის გვეუბნება: „ნუ წუხხარ. ვხედავ, რაც ჩემთვის გააკეთე, და გაკურთხებ ამისთვის.“ დღეს, ამ დილით, თუნდაც ძალიან ბევრნი ვიყოთ აქ, შეგიძლიათ დარწმუნებულნი იყოთ, რომ იესო ყველას პიროვნულად იცნობს. მას სურს, ყველა პიროვნულად და განსაკუთრებულად აკურთხოს.

მე წაგიკითხეთ ერთი მუხლი ცნობილი ისტორიიდან, როცა მოწაფეები ზღვაზე იმყოფებოდნენ და ქარიშხალი ამოვარდა. ძლიერი ქარი ქროდა და ნავს აქეთ-იქით ანარცხებდა. უეცრად დაინახეს, რომ ვიღაც წყალდაწყალ მოდიოდა. მართლა შეეშინდათ. რა ხდება? იესო მაშინვე გამოელაპარაკა მათ: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ.“ ამის მერე პეტრემ მიუგო: „უფალო, თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალდაწყალ.“ შემდეგ ჩვენი დღევანდელი ციტატა მოდის: „უთხრა: ‘მოდი!’ პეტრე გადმოვიდა ნავიდან და წყალდაწყალ წავიდა, რათა იესოსთან მისულიყო.“

ეს მშვენიერი მაგალითია ჩვენი ხსნისათვის. იესო გვეძახის: „მოდი!“ ცოდვით დაცემიდან

თუ იესოსთან მისვლა გსურს, მის მაგალითს უნდა მიბაძო და გააკეთო ის, რასაც იგი აკეთებდა - ეს არის მთავარი.

40 000 მონაწილე შეიკრიბა კეიპტაუნის სტადიონზე კონცერტებზე, მოხსენებებსა და ღვთისმსახურებაზე დასასწრებად.

მოყოლებული ღმერთი უხმობს ადამიანებს, ყველა ადამიანს: „მოდი ჩემთან, გთხოვ. მინდა ჩემთან საუკუნო თანაზიარებაში შემოგვიყვანო.“ ღვთის მოწოდება კაცობრიობის მიმართ ასეთია: „გთხოვ, მოდი!“ ეს ზოგადო მოწოდება კი არ არის, არამედ პიროვნულია. ღმერთი თვითეულს ცალ-ცალკე უხმობს: „მოდი ჩემთან.“ ეს ძახილი ჩვენც გვეხება: ძმაო, დაო, მოდი იესოსთან. მას სურს, რომ შენც და მეც თავისთან საუკუნო თანაზიარებაში შეგვიყვანოს.

იესო დღეს ასე გვიხმობს: „მოდი, მინდა, რომ აქ და ახლა შენთან თანაზიარება მქონდეს.“ ანდა დღევანდელი დევიზის სიტყვებით რომ გამოვხატოთ: „მოდით, მინდა თქვენში ვიცხოვრო და ვიმოქმედო. საშუალება მომეცით, რომ თქვენი ცხოვრების ნაწილი გავხდე. გამიზიარეთ თქვენი აზრები და ცხოვრება. ახლოს მოდით.“

ეს მოწოდება არც ერთი ორგანიზაციიდან არ მოდის, არც თქვენი მშობლებისგან: ეს თავად იესო ქრისტეა, რომელიც გიხმობთ: სწორედ შენ და შენ და შენ. „მოდი! მინდა, რომ ჩემს სასუფეველში შემოხვიდე. მოდი, შენთან ერთად მინდა ვიცხოვრო.“ და მესამე მოწოდება: „მოდი, მჭირდები! მოდი და მემსახურე!“ იესოს ეს მოწოდება თვითეულ ჩვენთაგანს ეხება.

ამ მოწოდებით უფალმა პეტრესაც მიმართა და პეტრე გაჰყვა მას. პეტრეს ისეთი რამ უნდა გაეკეთებინა, რაც ადამიანური კუთხით შეუძლებელი იყო, მას წყალდაწყალ უნდა გაევლო. ადამიანური კუთხით ეს სიგიჟეა, შეუძლებელია. მაგრამ იესომ პეტრეს უთხრა: „მოდი!“ პეტრეს ის უნდა გაეკეთებინა, რასაც იესო ეუბნებოდა, მას მისი მაგალითისთვის უნდა მიებაძა.

ძმებო და დებო, ეს ჩვენთვის გადამწყვეტია. თუ გვინდა, რომ იესოს მოწოდებას მივყვეთ და მასთან მივიდეთ, ამისთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: იესოს მაგალითს უნდა მივბაძოთ, ის გავაკეთოთ, რაც იესოს სურს, ის გავაკეთოთ, რასაც იესო გვეუბნება! საკმარისი არ არის, მარტო გვწამდეს და ეკლესიაში დავდიოდეთ. არც კეთილი საქმეების კეთება კმარა. არც ლოცვა და მსხვერპლის გაღებაა საკმარისი. იესოსთან მისვლა თუ გინდა, მის მაგალითს უნდა მიბაძო - ეს არის გადამწყვეტი - აკეთო ის, რასაც ის აკეთებდა.

ვიცი, ადამიანური კუთხით ეს შეუძლებელია. მაგრამ პეტრემ იცოდა: „თუ იესო მიბრძანებს, შევძლებ.“ რას ნიშნავს, ვაკეთოთ ის, რასაც იესო აკეთებდა და მის მაგალითს მივბაძოთ? დედამიწაზე ცხოვრების პერიოდში იესო ერთი მიზნისკენ მიდიოდა: მას მამასთან დაბრუნება სურდა. ყველა დანარჩენი მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. მას სურდა, შეესრულებინა მისი მისია და მამასთან დაბრუნებულიყო. მისთვის ეს აბსოლუტურ პრიორიტეტს წარმოადგენდა.

თუ იესოსთან მისვლა გვინდა, პრიორიტეტები

უფლის მიმართ ჩვენი სიყვარული არის ის, რაც მისადმი მორჩილების მოტივაციას გვაძლევს.

უნდა დავადგინოთ. ჩვენთვის პრიორიტეტული ღვთის სასუფეველში შესვლაა. ეს არის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი. ეს არის ის გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ.

იესო მორჩილი იყო. რაც არ უნდა მომხდარიყო, ის მუდამ მამის ნებას ასრულებდა - ნებიმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ გარემოებაში. ვერავინ და ვერაფერი დააბრკოლებდა მას იმაში, რომ გაეკეთებინა ის, რასაც მამა მოითხოვდა მისგან. იესოს მაგალითის მიბაძვა ღვთისადმი მორჩილებას ნიშნავს, რაც არ უნდა მოხდეს - ნებისმიერ სიტუაციაში, გამონაკლისის გარეშე. ჩვენ ვიცავთ ღვთის მცნებებს. აქ არანაირი დისკუსია არ არსებობს, არანაირი კომპრომისი - ეს ღვთის ნებაა, მე აღვასრულებ მას და მორჩა!

იესო სიყვარულით აღსავსე იყო, მან ადამიანები ისეთი შეიყვარა, როგორებიც არიან. იესოს მაგალითის მიბაძვა ნიშნავს იმას, რომ სიყვარულს უმაღლესი პრიორიტეტი მივანიჭოთ. შევიყვაროთ თვითეული ადამიანი. იესო მაზად იყო მიტევებისთვის. ის თავის მტრებსაც კი მიუტევებდა. და, მოდით, ჩვენც მივყვეთ მის მაგალითს. რა თქმა უნდა, ეს ბრძოლას ნიშნავს და არ არის ადვილი. მაგრამ ჩვენი მიზანია, რომ ყველას მიტევება შევძლოთ - ჩვენი მტრებისაც კი.

და კიდევ ერთხელ, ადამიანური კუთხით ეს შეუძლებელი გვეჩვენება. მაგრამ ღვთის შეწევნით და იმიტომ, რომ იესო მოითხოვს ამას ჩვენგან და ამისათვის ძალასაც გვაძლევს, ამას შევძლებთ. მიენდე მას! ის ისეთს არაფერს მოგთხოვს, რის შესრულებასაც ვერ შეძლებ. თუ ის რაღაცას გთხოვს, გეხმარება კიდეც. შენ უბრალოდ უნდა გინდოდეს ეს!

მაშ, როგორც უკვე ვთქვით, ეს სარისკო იყო. მე აღფრთოვანებული ვარ პეტრეთი ამის გამო. ის დაჰყვა უფალს, გადმოვიდა ნავიდან და წყალზე გაიარა. ვიცით, რომ პეტრე კარგად ცურავდა. სხვა ისტორია მოწმობს ამაზე. მაგრამ ასეთ უამინდობაში, ქარიშხალსა და ძლიერ ტალღებში, ეს სიცოცხლისათვის საშიშროებას წარმოადგენდა. მან ეს იცოდა. დახრჩობის საფრთხეც დიდი იყო. მაგრამ შიშის მიუხედავად მან მაინც გარისკა.

საყვარელო, და-ძმანო, ქრისტეს მიმდევრობას

სამხ. მოციქული მიხაელ დეპნერი (კონგოს დრ)

სამხ. მოციქული რიუდიგერ კრაუზე (ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გერმანია)

სამხ. მოციქული თიში თიშეკიდი (კონკოს დრ)

სამხ. მოციქული ჯონ ლ. კრილი (სამხრეთ აფრიკა)

თავისი შედეგები აქვს. ბევრი თავს იკავებს იმისგან, რომ გაჰყვეს ქრისტესა და მის მაგალითს, დაემორჩილოს მის კანონებს, უყვარდეს და მიუტევოს, რამეთუ ყოველივე ამას თავისი შედეგები მოსდევს. იმას, ვინც ქრისტეს ემორჩილება და მისდევს, ზოგჯერ ნაკლებად სახალისო ცხოვრება აქვს. მას ბევრად უფრო ნაკლებით დაკმაყოფილება უწევს. იმას, ვინც ყოველთვის იცავს მცნებებს, ფული ცოტა აქვს, აქვს ნაკლებად სახალისო ცხოვრება, ნაკლები სახელი და წარმატება. თუ იესოსთან დარჩენა და მასში ცხოვრება გვსურს, მაშინ იმის საფრთხეც არსებობს, რომ ჩვენ უფრო ნაკლები შეგვხვდება, ვიდრე სხვებს. მაგრამ, მოდით, გავრისკოთ იესოს გულისათვის.

შეიძლება ვინმემ თქვას: „ჰო, მაგრამ ეს ხომ სარისკოა. გვასწავლიან, რომ უნდა მივუტევოთ; ძალადობას ძალადობით კი არ უნდა ვუპასუხობთ, არამედ მიტევებით. მაგრამ ამასთან ერთად დიდია საფრთხე იმისა, რომ სუსტებად ჩაგვთვლიან.“ დიახ, იმ შეშლილ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ, ასეა. ვისაც მიტევება სურს, ის სუსტად ითვლება, ისეთად, ვისაც სხვა გადაწყვეტილების მიღება არ ძალუძს, ვისაც შურისძიება, თავდაცვა არ შეუძლია - მაშასადამე, მიუტევებს. ამ სამყაროსათვის მიტევება სისუსტის ნიშანია. და ზოგჯერ იმის გამო, რომ მიტევება გვინდა, სწორედაც რომ სუსტად აღგვიქვამენ. მოდით, წავიდეთ ამ რისკზე და მივბაძოთ იესოს მაგალითს.

ზოგიერთი ახლა ალბათ იტყვის: „კარგი, მაგრამ ყოველთვის რომ ვერ ვახარხებ, ვიყო მორჩილი, მიყვარდეს ყველა, მუდამ ერთგული ვიყო და ყველას მივუტევო?! და თუ, საბოლოო ჯამში, ამას მაინც ვერ შევძლებ, ყველაფერს დავკარგავ. არა მარტო იმას, რომ ღვთის სასუფეველში ვერ მოვხვდები, არამედ მთელი ჩემი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზეც დაზარალებული და წაგებული ვიქნები.“ მაგრამ ეს სწორედ ის რისკია, რომელზეც უნდა წავიდეთ.

საყვარელო და-ძმანო, კიდევ ერთხელ, მოდით, გავრისკოთ და გავყვეთ იესოს. ამას ყველა ჩვენთაგანს ვუსურვებ. ამას არ ინანებ, რამეთუ იესო ერთგულია. ის დაგეხმარება. ის გაკურთხებს და თავის სასუფეველში შეგიყვანს. იქ კი მისი დიდების თანამოზიარე გახდები. მასთან ერთად დაიწყებ მართვას. ამისათვის კი ღირს, რომ იესოს ერთგულება შევინარჩუნოთ. გთხოვ, გარისკე და არ ინანებ.

პეტრე რისკზე წავიდა. ის ნავიდან გადმოვიდა და ამან იმოქმედა კიდეც. ეს სასწაული იყო. იესოს მსგავსად მანაც შეძლო წყალზე გავლა! რატომ? იმიტომ, რომ მისი მოტივაცია სწორი იყო. ნავში მსხდომთათვის მას არ უთქვამს: „ეი, შემომხედეთ. ახლა საოცარ რაღაცას გიჩვენებთ.“ მან წყალზე იმიტომ არ გაიარა, რომ სხვებზე შთაბეჭდილება მოეხდინა. ამით მას დანარჩენებისათვის იმის ჩვენება არ უნდოდა, რომ ის მათზე უკეთესი იყო. ასეთი რამ მას საერთოდ არ მოსვლია თავში.

მისი ერთადერთი აზრი შემდეგში მდგომარეობდა: „იესოსთან მინდა.“ ეს იყო მისი მოტივაცია. მისთვის სულერთი იყო, თუ რას იფიქრებდნენ მასზე სხვები. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ რაღაც არაჩვეულებრივს აკეთებდა. მისი ერთადერთი სურვილი ასეთი იყო: „იესოსთან მინდა და ამიტომაც გავაკეთებ იმას, რასაც ის მეტყვის.“

საყვარელო და-ძმანო, ვიცავთ რა უფლის მცნებებს, ვართ რა ქრისტეს ერთგულები, ამას იმისათვის არ ვაკეთებთ, რომ სხვებს დავანახოთ, თითქოს ჩვენ უკეთესი ადამიანები ვართ. ჩვენი სურვილი არ არის ის, რომ სხვებთან შედარებით უკეთესი ქრისტიანები ვიყოთ. მოდით, ნუ შევეცდებით სხვებზე

შთაბეჭდილების მოხდენას. ჩვენი მამოძრავებელი მოტივი სულ სხვა რამ არის. ვინაიდან ყველამ ვიცით, რომ ამას მაინც ვერ მოვახერხებთ. ამისთვის ძალიან სუსტები ვართ. ეს შეუძლებელია.

უფლისადმი ჩვენი სიყვარულია ის, რაც მისადმი მორჩილების მოტივაციას გვაძლევს. გვიყვარს რა იესო ქრისტე, ისე ვიქცევით, როგორც მას სურს. გვიყვარს რა ღმერთი და მასთან თანაზიარება გვსურს, ვართ მორჩილები და ჩვენს ცხოვრებას სახარებისამებრ წარვმართვთ. ეს არის ჩვენი მოტივაცია. და ვიდრე ეს ასე იქნება, იესო იმის გაკეთებაში დაგვეხმარება, რაც შეუძლებელი ჩანს. თუ მოვინდომებთ, რომ სხვებზე უკეთესები ვიყოთ ანდა მათზე შთაბეჭდილების მოხდენას შევეცდებით, ამას ვერ მოვახერხებთ. მაგრამ თუ ჩვენი მოტივაცია წრფელი იქნება, ჩვენი სურვილი კი - იესოსთან მისვლა და მასთან თანაზიარება, ამაში ღმერთი დაგვეხმარება. ადამიანებისათვის ეს შეუძლებელია, მაგრამ იესოსთან ერთად - შესაძლებელი.

თქვენ იცით, თუ როგორ დასრულდა პეტრეს ეს ისტორია. იგი გადმოვიდა ნავიდან, გაიარა წყალზე და უცბად - ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო - წყალს შეხედა, დაინახა ტალღები და შეეშინდა. ჩაძირვა დაიწყო. ბოლო წუთებში, სიკვდილის პირას რომ მივიდა, წამოიძახა: „უფალო, მიხსენი მე! იესომ იმ წამსვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: 'რატომ დაეჭვდი, მცირედმორწმუნევ?"

საინტერესოა იესოს თვალით დანახული ეს ისტორია. როგორც ჩანს, ქარი და ტალღები იესოსათვის არ წარმოადგენდა დამაბრკოლებელ მიზეზს იმისათვის, თუ რატომ ვერ უნდა მისულიყო პეტრე მასთან. ერთადერთი პრობლემა დაეჭვებაში მდგომარეობდა, პეტრეს მცირედმორწმუნეობაში. ყველაზე რთული მთელ ამ ამბავში აბობოქრებული ზღვა და ქარი კი არ იყო, არამედ მცირედმორწმუნეობა.

საყვარელო და-ძმანო, რა თქმა უნდა, ყველას გვაქვს სატანჯველი და საწუხარი. მსხვერპლის გაღებაც გვიწევს, და ჩვენი რწმენისა და იესოსადმი ერთგულების გამო ხანდახან რაღაცეებზე უარსაც ვამბობთ. მაგრამ ეს სატანჯველი საშიში არ არის ჩვენთვის. ისინი ხელს ვერ შეგვიშლიან იმაში, რომ ღვთის სასუფეველში შევიდეთ. საფრთხე გარედან არ მოდის; ის შიგნიდან მოდის. თუ რწმენა შეგვისუსტდება, ეს უკვე საფრთხის შემცველი იქნება.

თუ იესოს აღარ მივენდობით და გადავწყვეტთ, რომ ის, რასაც იგი ჩვენგან მოითხოვს, შეუძლებელია, მაშინ გაჩნდება საფრთხეც. თუ რწმენა შეგვისუსტდება და აღარ ვიწამებთ იესოს აღთქმებს და ვიკითხავთ: „კიდევ აქვს აზრი ყოველივე ამას? მართლა უარი უნდა ვთქვათ ამასა თუ იმაზე? თუ უფალსა და მის აღთქმებს მივენდობით, მართლა მივიღებთ საზღაურს ღვთის სასუფეველში?" მაშინ დავსუსტდებით. მაგრამ, მოდით, მტკიცენი დავრჩეთ რწმენაში.

ცხადია, დრო და დრო ისეც ხდება - და დარწმუნებული იყავით, ჩემს შემთხვევაშიც ასეა -, რომ ერთბაშად დავეცემით, დავსუსტდებით და ვცოდავთ, აღარ ვაკეთებთ იმას, რასაც იესო მოითხოვს ჩვენგან. მაშინ ვაცნობიერებთ, თუ რა სუსტები ვართ. და ზოგჯერ ფარ-ხმალს ვყრით და ვამბობთ: „ეჰ, ამას მაინც ვერ შევძლებ."

და-ძმანო, ალბათ ჩვენს შორის არის და ან ძმა, რომლებიც ამბობენ: „ამას ვერასდროს შევძლებ. საკმაოდ კარგი არ ვარ ამისთვის, არც ერთგული." შენ შეძლებ. დაელაპარაკე იესოს და უთხარი: „მე ეს მაინც მინდა. მინდა ერთგული დავრჩე. მე შენთან თანაზიარებას ვნატრობ. გთხოვ, დამეხმარე." და იესო დაგეხმარება. ის რწმენას განგიმტკიცებს. მაგრამ ეს სურვილი გულით უნდა ატარო ისე, როგორც იესო ატარებდა მას, რომელსაც მამასთან დაბრუნება სურდა.

ყველა, ვისაც მართლა სურს ღვთის სასუფეველში შესვლა და მზად არის, გაჰყვეს იესოს, ამისთვის საჭირო ძალასა და წყალობას მიიღებს. მიენდეთ იესოს. ყური უგდეთ მის ძახილს. ის თავად გიხმობთ: „მოდი!" უპასუხეთ ამ ძახილს და გააკეთეთ ის, რასაც იესო აკეთებდა. იცხოვრეთ მისით და იარეთ მასში. შეუძლებლადაც რომ მოგეჩვენოთ ეს, თქვენ მაინც შეძლებთ. თუ თქვენს მოტივაციას იესო ქრისტესადმი სიყვარული წარმოადგენს, მაშინ იესო მის სასუფეველში შესასვლელად საჭირო ძალას მოგცემთ. და თქვენ უკვე აქვე გექნებათ მასთან თანაზიარება და არა მხოლოდ ზეცაში. აქ და ახლავე დარწმუნდებით იმაში, თუ რა შესანიშნავია იესოთი ცხოვრება და მასში სიარული. ამინ.

ძირითადი აზრები

უყოყმანოდ ვდგებით მიმდევრობის გზაზე, რომელიც უფალთან მიგვიყვანს.

ჩვენი მიმდევრობა უფლის მოწოდების გამოძახილია. ჩვენ მზად ვართ, გავიღოთ მსხვერპლი, რამეთუ გვიყვარს ღმერთი და ვენდობით მას. სამაგიეროდ იგი გვაძლევს იმის უნარს, რომ ერთგულება მიზნის მიღწევამდე შევინარჩუნოთ.

რჩევა-დარიგებანი მადლიერებასთან დაკავშირებით

ფოტო: პაპუა-ახალი გვინეას ახსე

ყოველთვის ყველაფრის მადლიერი ვიყოთ? „არარეალურია“, თქვა პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა. და ახსნა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს სინამდვილეში. ძირითადი აზრები 2017 წლის 1 ოქტომბერს პორტ-მორესბიში (პაპუა- ახალი გვინეა) ჩატარებული ღვთისმსახურებიდან.

„ღმერთი არ გვთხოვს, რომ ყოველ დღე და მთელი დღის განმავლობაში გულწრფელი და ხალისიანი ალილუია ვიმღეროთ“, თქვა პირველმოციქულმა. „არა, ჩვენ იესო ქრისტეს სახელით უნდა გადავიხადოთ მადლობა.“

მადლობა გადავიხადოთ, უპ. ყოვლისა, ქრისტესმიერი ხსნიდან გამომდინარე, რომელიც ყველა დროს მოიცავს:

- წარსულში: „სიყვარულით გაიღო მან სიცოცხლე ჩვენთვის. როცა ტანჯვა გვიწევს, უნდა ვიცოდეთ, რომ იესოც დაიტანჯა. ამდენად, მძიმე სიტუაციებშიც შევძლებთ მისი სიყვარულისათვის მადლობის გადახდას;
- აწმყოში: „ის ცოდვებს მოგვიტევებს. რაც არ უნდა ჩავიდინოთ, ყოველთვის შეგვიძლია მასთან მისვლა“;
- მომავალში: „მას უნდა, რომ გავიზიაროთ ის დიდება, რომელიც მამამ მისცა მას. ეს დიდება იმდენად გრანდიოზული იქნება, რომ აღარასოდეს გავიხსენებთ ამქვეყნად გადატანილ ტანჯვას.“

მუდამჟამს ქრისტეს სახელით მადლობის გადახდა ნიშნავს იმას, რომ სიტყვითა და საქმით გავყვეთ მას:

- თავმდაბლად და რწმენით: „მადლობლები ვართ იმისა, რომ ჩვენი ხსნა თავმდაბლობასა და რწმენაზეა დამოკიდებული და არა სიბრძნესა და სიმდიდრეზე. ყველა ჩვენთაგანს როდი შეუძლია თქვას: მე ძალიან ინტელექტუალური ვარ, დიდი ცოდნის პატრონიო. მაგრამ ყველას შეგვიძლია, რომ ვიყოთ თავმდაბალნი და ვირწმუნოთ;
- ლოცვით: „მადლობლები ვართ იმისა, რომ სულიწმიდა გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვილოცოთ. მადლობლენი ვართ იმ გარანტიისა, რომ, თუ იგივეს შევთხოვთ ღმერთს, რაც შეიძლება იესოს ეთხოვა ჩვენთვის, მივიღებთ კიდეც მას“;
- მიტევებით: „მადლობლები ვართ იმ წყალობისათვის, რასაც იესო გვანიჭებს და ვითვალისწინებთ იმას, რომ ცოდვილიც იგივეს მიიღებს“;
- ნდობით: „მადლობლები ვართ იმისა, რომ ვერავინ, ვერც ერთი სული, ვერანაირი გარემოება ვერ გვაიძულებს დავეჭვდეთ იესო ქრისტეში. მანამ, სანამ იესოსთან ყოფნის სურვილი მექნება, ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებს მის მიტოვებას“;
- მტკიცედ: „იესომ მის სამსახურად მოგვიწოდა. მოდით, ბოლომდე შევასრულოთ ეს დავალება.“ რამეთუ: „ყოველივე სასიკეთოდ შეეწევა იმათ, ვისაც ღმერთი უყვარს და მის რჩევებს მისდევს.“

„ამგვარად, ყველაფრისათვის შეგვიძლია მადლობლები ვიყოთ ღვთისა“, აღნიშნა პირველმოციქულმა შნაიდერმა. „მადლობლები ვართ იმისა, რომ ღმერთს ვუყვარვართ. მადლობლები ვართ იმისა, რომ ასეთი კურთხეულნი ვართ და ღმერთი ჩვენს მადლიერებას იმით პასუხობს, რომ კიდევ უფრო მეტ კურთხევას გვანიჭებს.“

კეთილი მწყემსი

22-ე ფსალმუნის მიხედვით

ფსალმუნები ლექსებია, რომლებიც იმღერებოდა, ე. ი. სიმღერების ტექსტებია. ზოგიერთ მათგანზე ვარაუდობენ, რომ ისინი მეფე დავითმა დაწერა; ამ ფსალმუნში დავითი ღვთის მიმართ თავის ნდობას გამოხატავს.

„უფალი ჩემი მწყემსია, არაფერი არ მომაკლდება.“

„ხასხასა მოლზე დამასვენებს და წყნარ წყლებზე წამიძღვება მე“.

„სულს დამიწყნარებს“.



„სიმართლის კვალზე
დამაყენებს თავისი სახელის
გულისთვის“.

ბნელ ხეობაშიც რომ ვიარო, არ
შემეშინდება; იმიტომ, რომ შენ
ჩემთან ხარ, შენი კვერთხი და
შენი საყრდენი მაიმედებენ.

ჩემი მტრების თვალწინ
სუფრას გამიშლი.

თავზე ზეთს მცხებ და
პირთამდე აავსებ ჩემს თასს.

სიკეთე და წყალობა იქნება
ჩემი თანმდევი მთელი
სიცოცხლე და უფლის სახლში
დავიმკვიდრებ.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04/2018 წ.; ილუსტრაცია: მირელა ფორტუნატი

სტუმრად ხულიოსთან სანტო-ანდრეში (ბრაზილია)

მე ვარ ხულიო, თორმეტი წლის და ვცხოვრობ სანტო ანდრეში, ვარ ერთ-ერთი 700 000 მოსახლიდან. ჩვენი ქალაქი სან-პაულუს ფედერალურ შტატში მდებარეობს. დავდივარ საშუალო სკოლაში, მეექვსე კლასში; აქ მე ჩემს თანაკლასელებთან და ჩემს უმცროს ძმასთან ერთად ვარ წიგნების ბაზრობაზე.

ჩემი საყვარელი საგანი მათემატიკაა, მე მათემატიკის ოლიმპიადებშიც ვიღებდი მონაწილეობას! ორჯერ მესამე ადგილი დავიკავე და მედალიც მომცეს.

ჩემს ძაღლს სკუპიდუ ჰქვია. მას სამი თათი აქვს, ვინაიდან ავტობუსმა გადაუარა, როცა ორი წლის იყო: საბედნიეროდ, გადარჩა!

ჩემი ჰობი სკეიტბორდით სრიალია. კვირაში ორჯერ სავარჯიშოდ დავდივარ და სკეიტბორდის ჩემპიონატშიც ვიღებ მონაწილეობას.
გარდა ამისა, პიანინოზე დაკვრასაც ვსწავლობ. ეს ძალიან მახალისებს. იმედი

აღდგომას ჩვენ, ბრაზილიელები, სიამოვნებით მივირთმევთ პაჟოკას. ეს ტკბილეულია, რომელიც წვრილად დაჭრილი მიწის თხილისა და შაქრისგან შედგება.

მაქვს, რომ შემდგომში თემში დაკვრის უფლებასაც მომცემენ.

მე სანტო-ანდრეს თემში მომნათლეს და აღმბეჭდეს სულიწმიდით. ამ თემს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემი ოჯახისათვის. ჩემმა დიდმა ბებიამ ახალსამოციქულო ეკლესია მაშინ გაიცნო, როცა 17 წლის იყო. შემდეგ ჩემმა დიდმა პაპამაც დაიწყო მასთან ერთად სიარული ეკლესიაში და რწმენა ჰპოვა. ისინი ამ თემში დაქორწინდნენ. ორივე უკვე მარადისობაშია. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ და ერთ-ერთი მათგანი ბებიაჩემი ედნაა, მან თავისი ქმარი ჟოზე-ანტონიოც მიიყვანა ეკლესიაში. დღეს ის ჩვენი მოციქულია. ოჯახის ისტორია კვლავაც გრძელდება: მამაჩემმაც დედაჩემის მეშვეობით გაიცნო ახალსამოციქულო ეკლესია

და სულიწმიდით აღიბეჭდა. დედაჩემი ჩვენს თემში გუნდს ხელმძღვანელობს.

აქ ბებიაჩემი და პაპაჩემი არიან სტუმრად ჩვენთან. როგორც წესი, ოჯახში ოთხნი ვართ: მამაჩემი ფაბიო, დედაჩემი ლაიზა, მე და ჩემი ძმა რაული. მართლა, სახელი მას მე დავარქვი. მას ისევე ჰქვია, როგორც ჩვენს სამხ. მოციქულ რაულ მონტეს დე ოკას, რომელიც მე ძალიან მიყვარს.

ყოველ კვირას, ღვთისმსახურების შემდეგ, რელიგიის გაკვეთილზე დავდივარ.

ძალიან საყვარელი მასწავლებელი გვყავს, სახელად კაროლინა. მან გვირჩია, რომ ღვთისმსახურების დროს ჩანაწერები გავაკეთოთ ქადაგების შესახებ. ეს ღვთის სიტყვის ყურადღებით მოსმენაში გვეხმარება.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 04 / 2018 წ.; ფოტოები: privat, Fotolia.com – Galina Barskaya – cabecademarmore

ფოტო: მარსელ ფელდე

არჩევანი - შემოთავაზებასა და ამოცანას შორის

რჩეულნი წყალობით - რატომ? ამაზე პასუხი არ არსებობს. ვინაიდან კითხვა ასე უნდა ჟღერდეს: რჩეულნი - რისთვის? პირველმოციქულ ჟან-ლუკ შნაიდერის მოსაზრებები ახლასამოციქულო თვითგაგების მთავარ ცნებასთან დაკავშირებით.

„და შენ, ისრაელ, ჩემო მსახურო იაკობ, რომელიც მე ამოგირჩიე, თესლო ჩემი საყვარელი აბრაამისა, [...] ნუ გეშინია, რადგან მე შენთან ვარ; ნუ ფრთხი, რადგან შენი ღმერთი ვარ მე. გაგამაგრებ და შეგეწევი და მხარს დაგიჭერ ჩემი სიმართლის მარჯვენით“ (ეს. 41, 8. 10).

ღმერთი წინასწარმეტყველის პირით მიმართავს ისრაელის ხალხს, რათა მას მისი რჩეულება შეახსენოს და თავისი ერთგულება დაუმტკიცოს. ეს სიტყვა ახალი აღთქმის ხალხსაც ეხება.

არა მხოლოდ საკუთარი ხსნისთვის

ღვთიური რჩეულების შესახებ ჩვენს კატეხიზმოში ნათქვამია (კატ. 4. 5): „რჩეულება ღვთის ნებას ეფუძნება, რომელიც ცალკეულ ადამიანს ან ჯგუფს მის მიერ განსაზღრული მიზნის განსახორციელებლად უხმობს და ამით პასუხისმგებლობას აკისრებს მას.“

რჩეულება ღვთისგან სრულიად დამოუკიდებლად გაკეთებული არჩევანია. ღმერთი იმ ადამიანებს ირჩევს, რომლებიც მას სურს, და ისე, რომ ამისათვის თავის მართლება არ სჭირდება (რომ. 9, 14-17):

- ერთი მხრივ იმ მიზნით, რომ საკუთარი თავი იხსნან;
- მეორე მხრივ კი იმისათვის, რომ მათ მისეულ ხსნის გეგმაში ითანამშრომლონ.

ადამიანს არ შეუძლია გაიგოს ან დაიმსახუროს რჩეულება; მაგრამ უნდა განიმტკიცოს იგი.

სხვა დანარჩენი მექანიკური პროცესია

ნოე ღმერთმა ამოირჩია, რათა წარღვნისთვის დაეღწია მას თავი. მან ეს რჩეულება რწმენითა და მორჩილებით დაამტკიცა. ისრაელის ხალხი კურთხევისა და ხსნის მისაღებად იქნა არჩეული; მას თავისი რჩეულება მოსეს რჯულისადმი ერთგულებით უნდა დაემტკიცებინა. ეს რჩეულებანი ადამიანურ საზომებს არ ეყრდნობოდა. ეს ღმერთის თავისუფალი არჩევანი იყო (რჯლ. 7, 6. 7).

გარდა ამისა, ღმერთმა ისრაელის ხალხი მისდა სამსახურადაც აირჩია: „და თქვენ იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად. აჰა, სიტყვანი, რომელთაც ეტყვი ისრაელის ძეთ“ (გამ. 19, 6). ეს რჩეულებაც გონებისათვის მიუწვდომელი, ღვთის სუვერენული არჩევანია.

შემოთავაზება, რომელიც მიღებულ უნდა იქნას

ახალ აღთქმაში ხსნა ცოდვისგან გამოსყიდვაში მდგომარეობს, ესე იგი, ღვთისგან სიშორის აღკვეთაში. ხსნის მიღწევა ადამიანს მარტო იესო ქრისტეს მეშვეობით შეუძლია. ხსნა ღვთიური რჩეულებიდან გამომდინარეობს:

- რომ ცხონდეს, ადამიანი იესო ქრისტეს უნდა იცნობდეს, ღვთის ძესა და ხსნის ერთადერთ შუამავალს. თვითონ თავისთავად მას არ შესწევს უნარი, რომ ამ შემეცნებას მიაღწიოს: ის მას ღმერთმა უნდა გაუცხადოს. ადამიანს კი მისი რჩეულების რწმენით განმტკიცება ეკისრება. ამდენად, ღმერთი იყო ის, ვინც სიმონ-პეტრეს განუცხადა, რომ იესო არის ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა, პეტრემ კი მისი რჩეულება უფლის მიმდევრობით დაამტკიცა (მათ. 16, 16. 17);
- ხსნის გეგმა ითვალისწინებს იმას, რომ ხსნა ყველა ადამიანს უკანასკნელი ჟამის წინ, ე. ი. ახალ შემოქმედებამდე, უნდა შესთავაზონ. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა იესო, მეუფეთა მეუფე, თავის მშვიდობის სასუფეველს აღმართავს ამქვეყნად და სატანა და მისი ამალა შებორკილ იქნებიან. ღმერთი სრული თავისუფლებით ირჩევს იმ წამს, თუ როდის უნდა გაუხსნას ნებისმიერ ადამიანს ხსნასთან მისასვლელი: სიკვდილამდე თუ სიკვდილის შემდეგ, იესოს მეორედ მოსვლამდე თუ მერე. ეს არჩევანი მხოლოდ და მხოლოდ მის ნებას ეფუძნება: ადამიანს არ ძალუძს არც ამის ახსნა და ვერც გავლენას ვერ მოახდენს მასზე.

მოყვასის სამსახურისკენ მოწოდება

როგორც ახალი აღთქმის ხალხი, იესო ქრისტეს მორწმუნენი არა მხოლოდ იესო ქრისტეს მიერ გამოსასყიდად არიან არჩეულნი, არამედ მის სამსახურადაც (კატ. 6. 2. 3. 2). ქრისტეს ეკლესიის ყველა წევრი მსახურებისკენ არის მოწოდებული იმგვარად, რომ

- ადიდონ ღმერთი და თაყვანი სცენ მას;
- იმოწმონ მათზე განხორციელებულ ღვთიურ სიკეთეებზე;
- გაავრცელონ სახარება;
- აკეთონ სიკეთე.

ეს მსახურება განსაკუთრებით წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებულებს ეკისრება, ვინაიდან მათ მოციქულთა მოღვაწეობისა და წყალობის შედეგად სწორი ქადაგების მოსმენა, ყველა საიდუმლოსა და ცოდვათა მიტევების მიღება შეუძლიათ.

ფოტო: პავლო ვაქრუშევი – Fotolia.com

წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებული ღვთის შვილები იმისათვის იქნენ არჩეულნი, რომ ღვთის სასუფეველის პირმშოები გახდნენ. მისი მეორედ მოსვლის დროს იესო ქრისტე ცოცხალთაგან და მკვდართაგან იმათ წაიყვანს თან, რომლებმაც თავიანთი რჩეულება იმით დაამტკიცეს, რომ მოციქულობის მეშვეობით მისი მეორედ მოსვლისათვის მოემზადნენ. ისინი ქრისტესთან თანაზიარებაში უკანასკნელი სამსჯავროს გავლის გარეშე შევლენ. მშვიდობის სასუფეველში ეს რჩეულები სამეფო სამღვდელოებას შექმნიან და როგორც ქრისტეს მაცნენი ითანამშრომლებენ ყველა ადამიანისათვის - ვისაც კი ოდესმე უცხოვრია - ხსნის გადაცემის საქმეში (გამოცხ. 20, 6).

სასულიერო თანამდებობა - განსაკუთრებული ამოცანა

ოდითგანვე ღმერთი ცალკეულ ადამიანებს ირჩევდა, რომლებსაც განსაკუთრებულ ამოცანას ანდობდა. აბრაამი იმ მიზნით იქნა არჩეული, რომ ყველა ხალხისათვის კურთხევად ქცეულიყო, მოსე და იესო ნავეს ძე კი იმისათვის, რომ ისრაელის ხალხი აღთქმულ ქვეყანაში მიეყვანათ. იესო თავად არის წარმოდგენილი როგორც ღვთისგან რჩეული, რომელიც ღმერთმა კაცობრიობის სამსახურად მოავლინა (მათ. 12, 18; ლუკ. 9, 35).

უფალმა მოწაფეები და შემდგომში მოციქულები იმისათვის ამოირჩია, რომ განსაკუთრებული ამოცანა მიენდო მათთვის - მათგან კი პეტრე გამოარჩია (საქმე 15, 7).

ჩვენ გვწამს, რომ სასულიერო თანამდებობაზე არჩევა ღვთის ნებას ეფუძნება და არა ადამიანისას. ამასთანავე, მოციქულის ამოცანაა, შეიცნოს ღვთის ნება და მოიქცეს შესატყვისად.

ღმერთის პასუხი: ერთგულება

ღმერთი ერთგულია: ის დაასრულებს დაწყებულ საქმეს (ფილიპ. 1, 6). ხსნის ღვთიური გეგმის მიხედვით ყველა ადამიანს აქვს გამოსყიდვის შესაძლებლობა (1. ტიმ. 2, 4). ხსნისათვის რჩეულება ფაქტიურად იმ მომენტს უკავშირდება, როცა ღმერთი ხსნას გვთავაზობს. მშვიდობის სასუფევლის ბოლოს ყველა ადამიანს ეცოდინება იესო ქრისტე. ხოლო ღმერთთან თანაზიარებიდან გარიცხულნი იმიტომ კი არ გაირიცხებიან, რომ არ აირჩიეს, არამედ იმიტომ, რომ მათთვის შეთავაზებული ხსნა არ მიიღეს მათ.

ღმერთი იფარავს ეკლესიას

იმ დღიდან მოყოლებული, რაც ქრისტეს ეკლესია დაარსდა, ღმერთი იფარავდა მას და აუცილებელ განწმედასა და წყალობას ანიჭებდა, რათა, ადამიანური არასრულყოფილების მიუხედავად, ისტორიაში მუდამ ხილული და აღსაქმელი ყოფილიყო. მან ასევე იზრუნა იმაზე, რომ ხილულმა ეკლესიამ მისი მისიის შესრულება შეძლოს, კერძოდ, გაავრცელოს სახარება და ცოცხლად შეინახოს ქრისტესადმი რწმენა.

ამ მსახურებას ქრისტეს ეკლესიის წევრები ღმერთისა და მოყვასის სიყვარულით ასრულებენ. ეს კი განსაკუთრებულად გვეხება ჩვენ, წყლისა და სულისგან ხელახლა დაბადებულებს, რამეთუ სულიწმიდით აღბეჭდვის დროს ჩვენს გულებში ღვთიური სიყვარული ჩაისახა.

ეს მსახურება ღვთისმოშიშებითაც უნდა აღინიშნებოდეს. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ხსნის მიღებას ადამიანი მაშინ შეძლებს, როცა ღმერთი აირჩევს მას ამ მიზნით. მხოლოდ და მხოლოდ ღმერთი ირჩევს მის რჩეულებს. ეს რჩეულება მისტიკაა, რასაც ვერ ავხსნით, არჩევანი, რომელზე გავლენის მოხდენასაც კეთილი საქმეებით ვერ შევძლებთ.

მშვიდობის სასუფევლის აღმართვამდე ქრისტეს ეკლესიის წევრები მხოლოდ ისინი იქნებიან, რომელთაც ღმერთი ხსნისა და მსახურებისთვის აირჩევს. ამიტომაც არ არის აუცილებელი, რომ ხსნის ღვთიური გეგმის განსახორციელებლად ყველა ადამიანი უფლის მეორედ მოსვლამდე აღიბეჭდოს სულიწმიდით ან მოინათლოს.

ღმერთი ჩვენგან მოელის, რომ სიყვარულით ვემსახუროთ მას დაუღალავად და მივენდოთ. ის იზრუნებს იმაზე, რომ ეკლესიაში ყოველთვის საკმარისი ადამიანები იყვნენ, რომლებიც მათი ამოცანის შესასრულებლად არიან რჩეულნი. და ის ამას „ვაების ჟამსაც“ (გამოცხ. 12, 6) გააკეთებს. სახარების უწყება დედამიწაზე ღვთისგან დადგენილ აღსასრულამდე გაგრძელდება.

ღმერთი ზრუნავს თავის შვილებზე

ღმერთი ერთგულია მის მიერ რჩეულების მიმართ, რათა მათ სამეფო სამღვდელოების წევრობა შეძლონ. ის ფხიზლად არის, რომ მათ სრულყოფასა და ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს მათ ზეატაცებას (გამოცხ. 12, 5) ვერანაირმა ძალამ ვერ შეუშალოს ხელი. ჩვენ არ ვიცით ღმერთისა და ქრისტეს მღვდელთა ის აუცილებელი რიცხვი (144 000-ს აქ წმინდა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს), რომლებმაც ხსნა უნდა გადასცენ ყველა ადამიანს. ვერავინ იტყვის, თუ რამდენი პირმშო იქნება ამქვეყნად და იმქვეყნად.

ჩვენ ის ვიცით, რომ სამეფო სამღვდელოების ჩამოყალიბებამდე მოციქულები იმოღვაწებენ დედამიწაზე. მოციქულობის მეშვეობით ღმერთი თავის შვილებს, რომლებსაც მათი რჩეულების განმტკიცება სურთ, მიზნის მისაღწევად ყველა საჭირო ძალით აღჭურვავს.

ღმერთი ეხმარება მის მსახურებს

უფალი მის მიერ რჩეული მოციქულების გვერდით იქნება მანამ, ვიდრე ისინი მათზე დაკისრებულ დავალებას ბოლომდე არ შეასრულებენ (მათ. 28, 20). ის ფხიზლად დაიჭერს თვალს კლდის მსახურებაზე, ე. ი. პეტრეს მსახურებაზე, რომელიც პირველმოციქულს აკისრია, რათა ეკლესიას ბოროტმა არ სძლიოს (მათ. 16, 18). მოციქულების მიერ ყველა უფლებამოსილი მღვდელმსახური, რომელიც მოციქულებთან და პირველმოციქულთან ერთად იღვწის -, შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ იესო ქრისტე მხარში უდგას მას. უფლის შემწეობის წყალობით ისინი ბოლომდე მიიყვანენ მათ საქმეს.

შესაჯამებლად მინდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველის აზრები გავათანამედროვო და შემდეგნაირად გადავაკეთო: „ნუ გეშინია ქრისტეს ეკლესიავ, ნუ გეშინიათ ღვთის შვილებო, ნუ ფრთხით მსახურნო. იესო ერთგულად უდგას მხარში მის რჩეულებს!“

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, CH-8051 ციურიხი/ შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

საერთაშორისო ახალგაზრდული დღე 2019: შევადგინოთ პროგრამა

პროგრამა მრავალფეროვანია: უკვე იმდენი რამ არის გარკვეული 2019 წლის საერთაშორისო ახალგაზრდულ დღესთან დაკავშირებით. მუშაობა გრძელდება, მიმდინარეობს თემათა კატალოგისა და ტერმინთა კალენდრის შედგენა.

ფოტო: ოლივერ როუტენი

2019 წლის 30 მაისიდან 2 ივნისამდე დიუსელდორფში (გერამნია), ბაზრობის უზარმაზარ ტერიტორიაზე, 35 000-დან 40 000-მდე მონაწილეს ელოდებიან. რაინის მიწის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი ახალგაზრდების შეხვედრის ადგილი იქნება მთელი მსოფლიოდან - როგორც ეს ათი წლის წინ 2009 წლის ევროპის ახალგაზრდულ დღეზე იყო. ამ ფონზე ორგანიზატორები უკვე ბეჯითად მუშაობენ. ამჟამად ისინი ამ სამდღიანი მეგაპროექტის პროგრამას აშალაშინებენ. ონლაინ გამოკითხვაში, რომელიც მოცემულ პროექტთან დაკავშირებულ მოლოდინებს ეხებოდა, 3000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც 11-დან 34-წლამდე იყვნენ. სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფილებმა - 11-დან 17 წლამდე, 18-დან 24 წლამდე და 25-დან 34 წლამდე - საკმაოდ ზუსტი პასუხები გასცეს.

ღვთისმსახურებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება

ასაკობრივ ჯგუფებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა მუსიკალურ გემოვნებაში. თემებიც სხვადასხვაგვარად ფასდება - სერიოზული ბიბლიური თემებით დაწყებული წვეულებით დასრულებული ყველაფრის სურვილი გამოითქვა. გამოკითხულთა 96 პროცენტი ღვთისმსახურებებს ანიჭებს უპირატესობას - ამაღლებაზე დაკვირა დღეს. რაც შეეხება, ვორკშოპებს, წარმოდგენებსა და ქუჩის მუსიკას, ყველა ასაკობრივი ჯგუფი ერთ აზრზე თანხმდება. სემინარები და დიდი აუდიტორიის წინაშე გამართული დისკუსიები შედარებით უფროსი ასაკის გემოვნებას შეესატყვისება.

„სოციალურ მედიასთან“ დაკავშირებული თემები, უპ. ყოვლისა, 11-დან 17 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს აინტერესებთ. ხოლო თემები: „ქორწინება და ოჯახი“, „ცხოვრებისა და მომავლის დაგეგმვა“ და „კრიზისები ცხოვრებაში“, როგორც ჩანს, 20 წელზე მეტი ასაკის ახალგაზრდებს აინტერესებთ. გამოკითხულთა 80 პროცენტის ინტერესის საგანს კი შეადგენს „ქრისტიანული ცხოვრება პრაქტიკულად“, „სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ“ და „ქრისტეს მეორედ მოსვლა“. საერთო ჯამში, რწმენასთან დაკავშირებული თემები მოწონებით სარგებლობს.

დევიზი: „მე აქ ვარ“

ახალგაზრდული დღის დევიზია „მე აქ ვარ“. როგორც ღმერთი ეუბნება ადამიანებს ამ გამამხნევებელ სიტყვებს, ასევე პირიქით. ამდენად, ეს ახალგაზრდული დღის მონაწილეებსაც პირადად ეხებათ და ნიშნავს: „მეც თქვენთან ვარ. მოვალ. თანამშრომლობა მსურს!“ პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა და რამოდენიმე სამხ მოციქულმა 2017 წლის ნოემბერში უკვე მოინახულეს ეს ტერიტორია. ისინი ნანახით ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ. ზაფხულში რეგისტრაციის პროცესი დაიწყება.

„შერწყმა, ზრდა ერთად“

დასავლეთ გერმანიის ახალი სამხ. ეკლესიის მეთაურის შეცვლა საბოლოოდ დასრულდა: ეკლესიისა და პოლიტიკის წარმომადგენლებთან საზეიმო შეხვედრის დროს ახალმა სამხ. მოციქულმა მომავლის გეგმები წარმოადგინა.

2018 წლის 1 იანვრიდან ჩრდ. რაინ-ვესტფალიისა და ჰესენის/რაინლანდის/ზაარლანდის სამხ. ეკლესიები გაერთიანდა. 2018 წლის 25 იანვარს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ჰესენელი სამხ. მოციქული ბერნდ კობერშტაინი დამსახურებულ პენსიაში გაუშვა და მისი სამოღვაწეო მხარე ჩრდ. რაინ-ვესტფალიის სამხ. მოციქულ რაინერ შტორკს გადააბარა.

ამასთან დაკავშირებით ახალსამოციქულო ეკლესიამ 2018 წლის 5 მარტს ჩრდ. ფრანკფურტის თემის ეკლესიაში მიღება მოაწყო. მიღებაზე დაახ. 50 სტუმარიმოვიდა,რომლებსაცხელმძღვანელობდნენ ევანგელისტური და კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლები, ასევე ფედერალური სამინისტროებისა და მუნიციპალური პოლიტიკის წარმომადგენლები. პროგრამა მიჰყავდა ეკლესიის ოფიციალურ წარმომადგენელსა და ეპისკოპოსს პეტერ იოჰანინგს.

სამი სამომავლო მიზანი

„შერწყმა, ზრდა ერთად“ - თავისი მიმართვის ყურადღების ცენტრში სამხ. მოციქულმა რაინერ შტორკმა შერწყმასთან დაკავშირებული მომზადებიდან აღებული ეს დევიზი მოაქცია. მას სურს, რომ ახალი პასუხისმგებლობის პირობებშიც ძველი პრინციპები დაიცვას:

- გააძლიეროს ადგილობრივი თემები: ეს საკუთარ პასუხისმგებლობაზე აქცენტის გაკეთებას, პიროვნული ინიციატივისათვის ხელშეწყობას და თემებისათვის სამოქმედო არეალის მიცემას ნიშნავს;
- გაუფრთხილდეს ფინანსურ რესურსებს: მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ საკმაოდ კარგია, მაგრამ მომავალ თაობებზეც უნდა ვიფიქროთ. გარდა ამისა, ბალანსი უნდა იქნას გამონახული გერმანულ მხარეებსა და კურირებულ მხარეებს შორის 40-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც თვითდაფინანსება მხოლოდ 0,5 პროცენტიდან 40 პროცენტამდეა შესაძლებელი;
- აქტიურად გაავრცელოს სახარება: იესოს მოძღვრება ღირებულებათა სისტემაც არის, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს შორის კარგ თანაცხოვრებას. მისი გავრცელება არა მრტო ცალკეული კონფესიების საქმეა, არამედ მთლიანად ქრისტეს ეკლესიის ამოცანაც არის.

ფოტო: ჯესიკა კრემერი

პროგრამა

01.07.2018	დეტმოლდი (გერმანია)
05.07.2018	ულაბ-ბატორი (მონღოლეთი)
08.07.2018	მოსკოვი (რუსეთი)
21.07.2018	კინდუ (კონგოს დრ)
22.07.2018	კისანგანი (კონგოს დრ)
26.07.2018	ტემბო (კონგოს დრ)
29.07.2018	კინშასა (კონგოს დრ)
10.08.2018	მვამბა (ტანზანია)
12.08.2018	დარესალამი (ტანზანია)
18.08.2018	შიაულიაი (ლიტვა)
19.08.2018	რიგა (ლატვია)
16.09.2018	მერლებახი (საფრანგეთი)
26.09.2018	ჰონგ-კონგი (ჰონგ-კონგი)
30.09.2018	ბრიზბენი (ავსტრალია)

New Apostolic Church
International